


ხარისხში აყვანა

ნახ. გ. ლომიძისა

# ნიანგი

8

გამოცემის 53-ე წელი, (№ 1474). აპრილი. 1976. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

**დიდ** ქართველ ხელოვანს, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს — **ლადო გუდიაშვილს** — დაბადების მე-80 წლისთავი შეუსრულდა.

ლადო გუდიაშვილს

ზღაპრულ სინათლეს გფენ, ლადო,
ღვთაებრივ ფერთა ბელადო!
მზადა ხარ კიდევ ოთხმოცის
დიდებით გასავლელადო!
დიდი ქართული მხატვრობის
მარადისობავ ფერადო,
„ფრესკის ღიმილის“ ფრთებს გვასხამ
ზეცაში ასაფრენადო!
დღეს შენი ბინა მსოფლიოს
იზიდავს ანდამატივით!
სულით და გულით გილოცავთ,
გიმზერთ სალოცავ ხატივით!
გენიალურო ოსტატო,
გროტესკისა და სატირის, —
„ნიანგისთვისაც“ დახატე
ხანდახან! — გვეცი პატივი!

ზაურ ბოლქვაძე

# შვლის ნუკრის ნაამბობი

„**პაწაწა** ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია. ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი, დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს, წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული...“

თვალები რომ გავახილე, სანდომიანი სახის ქალს ვესვენე მკლავებზე. გარშემო ბავშვების ჟრიამული ისმოდა.

— უი, დედი, რა ლამაზია!..

— ნახე, დედი, რა სევდიანი თვალები აქვს!..

— ცოდოა, დედი! გავუშვათ ტყეში!..

— როგორ გავუშვათ, შვილო?! ვერა ხედავ, ფეხიდან სისხლი სდის? თანაც, ამოდენა თოვლში, როგორ ივლის? რომც წავიდეს, საჭმელს ვერ იშოვის, ნადირი შეჭამს საბრალოს!

— სახლში წავიყვანოთ, დედი!.. ჩემს ლოგინში ჩავაწვინოთ!..

— თივას მე მოვუტან კოლმეურნეობის ბოსლიდან.

— წავიყვანოთ, შვილო, მოვუაროთ, მოვარჩინოთ და მერე, თუ შეძლებს, ისევ ტყეში გავუშვათ! — დაუყვავა დედამ შვილებს და თოვლში გაკვალულ გზას დაადგა. წინ ბავშვები მიკუნტრუშობდნენ.

მე ისევ გული წამივიდა. გონს რომ მოვედი და თვალები გავახილე, მაგიდაზე ვესვენე გულაღმა. ზემოდან გარშემორტყმული მამაკაცები დამცქეროდნენ. იქვე იყო ჩემი მხსნელი — სანდომიანი სახის დიასახლისიც...

— გაგზავნე, ქალო, ვეტექიმთან ბალღი?

— გავგზავნე, აბა, არ გავგზავნე?! საცაა, მოვა!..

— ეტყობა, ბევრი სისხლი დაჰკარგა, წამდაუწუმ გული მისდის საბრალოს! საშიშია, განგრენა არ დაეწყოს! მე მგონი, ფეხის ამპუტაცია დასჭირდება! — თქვა ერთმა წვერგაუპარსავმა მამაკაცმა და მუშტრის თვალით თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

— აი, ვეტექიმიც მოვიდა! — წამოიძახა დიასახლისმა და კარებისაკენ გაექანა.

— რა ხდება აქ? — იკითხა ვეტექიმმა, რომელიც ოდნავ შექეიფიანებული იყო.

— მე მგონია, ფეხის ამპუტაცია დასჭირდება! — თქვა წვერგაუპარსავმა.

— მდა!.. — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ვეტექიმმა და ინსტრუმენტებით სავსე ხელჩანთა მაგიდაზე დადო.

— პირველ რიგში ანესთეზია უნდა გავუკეთოთ, ცოდვაა საბრალო, ტკივილებმა არ შეაწუხოს!

— მე მგონია, ბარკალი მთლიანად უნდა მოეჭრას, სადაც სახსარი იხსნება! — თქვა წვერგაუპარსავმა.

— სხვანაირად არც გამოვა. საშიშია, განგრენა არ განვითარდეს. თუ მოჭრაა, ბარემ მთლიანად მოვჭრი, ცოტა კურტუმოს ხორცსაც მივაყოლებ! აბა, შენ აქ დაიჭი ფეხი! ახლავე ნემსს გავუკეთებ! — საქმიანი კილოთი წარმოთქვა ვეტექიმმა და ხელჩანთიდან უშველებელი შპრიცი ამოიღო...

მე გული წამივიდა... გონს რომ მოვედი, ოთახში შემწვარი ხორცის, ღვინისა და თამბაქოს სუნი იდგა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ნაკვერჩხლებს ისეთი ტკაცანი გაჰქონდათ, გეგონებოდათ, საქორწილო სროლაა ატეხილიო. გამახსენდა საბრალო დედაჩემი, მონადირემ რომ უმოწყალოდ დაახალა თოფი. გული სიბრალულით ჩამწყდა. წამოდგომა მოვინდომე, მაგრამ რაღაც სიცარიელე ვიგრძენი მარცხენა მხარეს. გამახსენდა ოპერაცია. ფეხი აღარ მქონდა: ზედ სახსარში გადაეხსნა ვეტექიმს. რამდენნაირ ადამიანს არ შეხვდები ცხოვრებაში: ზოგი ბოროტია, ზოგი — კეთილი. აი, იმ ბოროტმა მონადირემ დედაჩემი არ დაინდო და წუთისოფელს გამოასალმა საბრალო. კეთილმა ადამიანებმა კი, მე, უძლური და უსუსური შემიკედლეს, მიპატრონეს, მიმკურნალეს. მართალია, ფეხი არ მაქვს. თანაც სამფეხა შველი, ალბათ, მე ვარ მხოლოდ, სამაგიეროდ, ცოცხალი ხომ ვარ? სული ხომ მიდგას? — გავიფიქრე ჩემთვის და მადლიერი თვალები მივაპყარი ჩემს მხსნელებს, რომლებიც დაბალ მაგიდას მისხდომოდნენ ბუხართან და სმა გაეჩაღებინათ...

სუფრის თავში წვერგაუპარსავი იჯდა, ორივე ხელით ჩაებღუჯა შემწვარი ბარკალი და მადიანად შეექცეოდა.

— ე, ჰე, ჰე! თქვენ რა იცით ნანადირევისა, შვილოსა! შვლის სუკებია გემრიელი, სუკები! — შესძახა ომახიანად და ჩემკენ გადმოიხედა.

მე გული წამივიდა...

გიგლა ფირცხალავა

## ხუთფუთიანი სტროფები

ყველგან მოითხოვს უთქმელად,
იყოს პირველი მაყარი.
არგუმენტები რბილი აქვს,
შუბლის კანი კი მაგარი.

*

ოდითგანვე ასე თქმულა,
რაც მზეა და რაც ყოფაა:
კაცი ქუდს რომ აქიცინებს
ძაღლის შეურაცხყოფაა.

*

კაციც ხარ, ქუდიც გახურავს,
ბედნიერიც ხარ განა,
როს შენი ღვიძლი შვილები
სხვას უძახიან მამას?

*

ვერ იტანს ფიქრს და
აზრთა ფანტელებს,
გულებს ამსხვრევს და
ჰიქებს „ამთელებს“.

*

ხასიათი აქვს ისეთი
ჩვენი თაობის ქუცარას,
ნამუსზე თუ ესაუბრე,
გულს დაიხურავს, ქუდს — არა!

გიგა მახვილაძე



ნახ. თ. თურმანიძისა

— გეთაყვა! რა ღირს პამიდორი?
— გაიარე, კაცო, შენ ამის მყიდველი არა ხარ!

„არაგვო, მაგ შენ ატეხილ ჰალებს...“

# ჟინიანები ჟინვალში

ზოგიერთი წყალდაუოკებელი თბილისელის ოცნებაა, რომ მათი ონკანებიდან მუდამჟამ, მაღალი წნევით, გაზრდილი დებიტით ივსებოდეს ჯამ-ჭურჭელი. ამ ოცნების რეალობად გარდამქცევი კი ჟინვალიდან გაფილტრული არაგვის წყალია, რომელსაც უკვდავების წყლის თვისებები გააჩნია.

შეიძლება ზოგიერთმა ეს პროექტი შეუძლებლად მიიჩნიოს, მაგრამ ეს უკვე დაიწყო, სინამდვილეა. მშენებლობა 1971 წელს დაიწყო! უნდა დამთავრებულიყო... ბოდიში, მგონი თვითონაც კარგად არ იციან „საქჰიდროენერგომშენის“, „ჟინვალჰესის“ მეთაურებმა როდის უნდა დამთავრებულიყო ჰესი, შემდეგ გაიგეს, რომ მისი დამთავრება გათვალისწინებულია 1980 წლისათვის. „გათვალისწინებულიო?!“ ეს რაღაც წყლის ნაყვას ხომ არა გავს. წყალნი წავლენ და წამოვლენ, სიტყვანი დარჩებიანო?!

„ჟინვალჰესის“ და თბილისის წყლით მომარაგების მშენებლობა დროზე რომ დამთავრდეს, საჭიროა ზოგიერთი წვრილმან-მსხვილმანის გათვალისწინება, პატივცემულო ყველა ჯურის მშენებლებო!

### სმა-ჭამა დიდად შესარგი?!

— „ცარიელი ტომარა ფეხზე არა დგებაო“, — სიტყვა მოგვაწვდინეს ჟინვალჰესელებმა.

— გეთანხმებით, მაგრამ ცარიელი ტომარა რა შუაშია?

— წყალი ხომ გინდათ, კრიალა, ცივ-ცივი და გემოვანი, ჩემო თბილისელებო და რუსთაველებო?

— შენ რა რწყილი და ჭიანჭველობანას გვეთამაშები?!

— აბა, წყალი რომ დროულად მოგაწოდოთ, მანდ უფროსებს სთხოვეთ, მალიმალ ფქვილი გამოგვიგზავნონ, ხინკლის მამაპაპურ ტრადიციებს ხომ არ დავკარგავთ! გაგვიზარდონ ხილბოსტნეულით მომარაგება, რა არის, ათასში ერთხელ განხეთქილების ვაშლივით რომ გამოგვიგორებთ ყვითელ-ყვითელ, დამპალ-დამპალ ვაშლებს. კომბოსტოსა და მწვანილს ხომ იშვიათად ნახავთ ჩვენს პირობით დარქმეულ „ხილბოსტნეულის“ მაღაზიაში, სადაც ზამთრობით ისეთი სიცივე დათარეშობს, რომ თეთრი დათვებიც კი კბილებს აკაწკაწებენ.

— სითბოს თბილისიდან ხომ არ გამოგიგზავნით?!

— სუსხი გამოუგზავნეთ ზოგიერთებს, რომ მუშათა საცხოვრებლები გაათბონ! წელს კი აღარ დაგვჭირდება, გაზაფხული დგება, მომავალი ზამთრისთვის დაიჭირონ თადარიგი!

— კარგი, ვეცდებით.

— კვირაობით მუშათა სასადილოც არ მუშაობს! მუშა ისვენებსო. კუჭმა რომ დასვენება არ იცის, ეს „ორსის“ მუშაკებმა არ იციან?!. ჰოდა, იქნებ გვიშუამდგომლოთ და კვირაობით დუშეთიდან ყველიანი ბუტერბროდი გამოგვიგზავნონ!

— არ იქნება ურიგო!

### ხარისხი — მინუს ხუთ ხარისხში

„ჟინვალჰესის“ მშენებლების დასახლება სამხედრო გზიდან ლამაზად მოჩანს. ბევრი რამ კარგი გაუკეთებიათ, აუშენებიათ საცხოვრებელი კორპუსები, ძველი, 1957 წლის სტანდარტული პროექტებით, რომლებიც მომავალი, საისტორიო არქიტექტურის გვერდით, უკაცრავად და... სასაცილოდ გამოჩნდება. როგორც ამბობენ, „ჟინვალჰესის“ მშენებლობის დამთავრების შემდეგ მუშები გადაინაცვლებენ სხვა სამუშაოებზე, მუშათა ახლაშენებული კორპუსები კი დარჩებათ ტურისტულ ბაზებს. ოო, ეს კი სასტიკი განაჩენია უცხოელი და შინაური ტურისტებისათვის!

ამ კორპუსების კარ-ფანჯარა, ყბადაღებული იატაკი და გადმოსაქცევად გამზადებული კედლები გულს უხეთქავს ადამიანს. ამის მკეთებელო ნეტავ გული როგორ უდგებათ შინ და ჟინვალის ახალ დასახლებაში ახალაშენებულ საავადმყოფოსაკენ არ მიიჩქარიან. თუმცა, სამშენებლო თვალსაზრისით, საავადმყოფო თვითონაც სამკურნალოა: მისი წვიმამიმზიდველი, უაზრო საჩეხები თოვლისა და წვიმისაგან ჟლენთავს შენობის ფასადს. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ თუ ნამკურნალებმა კაცმა ვერ მოასწრო დროზე საავადმყოფოს კარებიდან გამოვარდნა, დამოკლეს მახვილივით, დაკიდებული საჩეხი კონკურსგარეშე ჩარიცხავს მიქელ გაბრიელის კურსებზე.

### კანალიზაციის პარადოქსი

კანალიზაცია კომუნიკაციის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ეგეც არ იყოს, სრულყოფილი კანალიზაცია ჰიგიენის საწინდარია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომაელები და ძველი კოლხები ქალაქების აშენებას კანალიზაციით იწყებდნენ. 1976 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით კი, ამის გაგონება არც დუშეთის სანეპიდსადგურს, არც მის მშენებლებს და არც მის უფროსებს არ უნდათ. სასტიკად აკრძალულია კანალიზაციის წყლის არაგვისპირა მიდამოებში გაშვება, რადგანაც ეს გამოიწვევს ჟინვალის სასმელი წყლის დაბინძურებას. ამას ებრძვიან, მაგრამ დიდ ორმოში მოგროვილი კანალიზაციის ბინძური წყალი მაინც „ანოყიერებს“ არაგვისპირა მიდამოებს. ჟინვალის სასმელი წყალი დაბინძურების პერსპექტივაშია. თუ დროზე არ ვუშველეთ, ყოველგვარი ეპიდემია საზაფხულოდ ფრთებს გაშლის.

### ბეტონის სტეთოსკოპი

„ჟინვალჰესის“ მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს მუშა-მოსამსახურის მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც დღეს უმდაბლეს დონეზე დგას. ეს იმის გამო, რომ 1976 წელს განთავისუფლდა 348 კაცი, მიღებულია 308 მუშა. სულ კი საწარმოში ითვლება 472 მუშა. აქედან უმეტესობა არაკვალიფიცირებულია. მუშების ამგვარი „მისვლა-მოსვლა“ ადაბლებს სამუშაოს ხარისხს, ახანგრძლივებს მშენებლობის დროს, რომელსაც, ერთი მწერლისა არ იყოს, „უკანსვლა არა აქვს“.

მშენებლობის პროცესში მარტო მუშის კვალიფიკაციას არ უნდა დავეყრდნოთ. აქ მთავარია ტექნიკური-საინჟინრო პერსონალის მაღალი დონე. სწორედ ამ დონიდან დაბლა დგომამ განაპირობა ის, რომ „ჟინვალჰესის“ საბუფერო ბასეინზე წყლის ასაცილებელი არხის ბეტონით მოპირკეთების ტექნოლოგიური პროცესი დაირღვა, სამშენებლო მასალების ნაკლებმა დოზამ ბეტონი გაამყინვარა და სამკურნალო-საჯახირო გახადა. „ავადმყოფს“ რომ დროზე უნდა შველა, ამაზე ჯერჯერობით არა ფიქრობენ ისინი, რომლებსაც სტეთოსკოპები უჭირავთ და უსმენენ გაყინული ბეტონის დნობა-დაშლას.

და სანამ გვირაბში გამომწყვდეული არაგვი მთების ახალ-ახალ მოძახილებს ჩამოიტანს ბარში, საქმეს მიხედეთ, „ჰეი, თქვენ, არაგველებო!...“

ა. ადეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი



თანამედროვე ადამი

# ბალადა სკამებზე

ეს იყო წინათ: კაცი ხანდახან
გადიქცეოდა სკამად თვითონვე!..
ყოყოჩდებოდნენ მერე სკამები,
ზოგს ნიშნავდნენ და ზოგსაც იხოვდნენ.
იყვნენ სკამები სხვადასხვა რანგის:
სკამი — უფროსი, სკამი — მმართველი,
სკამი — მდივანი, ან დირექტორი,
სკამი — წამგლეჯი, ქრთამის ამრთმევი!...
უმოყვრდებოდნენ სკამები სკამებს,
რადგან იცოდნენ: ძმა ძმით ძლიერობს!
თუ ტრიბუნებზე სჭექდნენ ხმამაღლა,
ჩუმად იღებდნენ სამაგიეროდ!
უსკამოები კორიდორებში
იდგნენ, ელოდნენ კარის გაღებას...
სკამს უფროს სკამთან ვერ უჩივლებდი, —
სკამი სკამის ტყავს როგორ დახევდა?!
მორჩილად იდგნენ სკამის წინაშე
(თუ მიაღწევდი საწადელს, ასე!)
ილუპებოდი, თუ იკითხავდი:
„ბაიყუში თუ კაცი ზის სკამზე?"
სკამი ანგრევდა და აშენებდა,
ორჯერ იცვლიდა თვეში აგარაკს!

ერთ სკამს შეეძლო, ერთად ეყიდა
სამი სახლი და სამი მანქანა!
თაყვანისცემა უყვარდა მხოლოდ,
არა — კრიტიკა, არა — ქარაგმა.
დაბადების დღე ძვირფასი სკამის
კარგად იცოდა მთელმა ქალაქმა.
შენი იღბალი სკამზე ეკიდა,
უნდა გეხვეწნა: „სკამო, უ[...]ალო!"
არადა, მთელი შენი ცხოვ[...]ბა
ასე რჩებოდი ფეხზე, უსკამ[...]ო!
გალოდინებდნენ ხუთი-ექვს[...] დღე,
ვერ შეხვდებოდი უბრალოდ სკამთან.
ხასიათზე თუ არ იყო სკამი,
არ ახდებოდა ეგ შენი ნატვრა!
არ მოეწონე? მორჩა! გათავდა! —
პრაპუნს იწყებდა სკამი მრისხანედ
და იქვე მწკრივად მდგომი სკამებიც
შემოგილრენდნენ და შეგრისხავდნენ!..
თავხედის, ურჩის გარქმევდნენ სახელს,
რომ დიდსკამუფროსს ეამა ამით,
დაგიყვირებდა ბოლოს ხმამაღლა,
გარეთ კინწისკვრით გისროდა სკამი!..

მაგრამ, თუ კაცი იყო „ჭკვიანი"
(ჭკუასთან ერთად ფხაც თუ იქვეა),
საქმეს ჩარხავდა, რადგან იცოდა,
სკამსაც გული აქვს, სკამსაც ჯიბე აქვს!
სკამსაც ჰყავს სკამი — დეიდაშვილი,
სკამი — სიმამრი, სკამი — ბიძია.
დაარეკვინებს ან მიუგზავნის...
და სასურველი სკამიც მისია!
ეს იყო წინათ! დღემდე ვიხსენებთ,
დღემდე ვიგონებთ, როგორც ჭრილობებს!..
წარსულის ლაფში იდგნენ სკამები
და დღევანდელ დღის მართვას ცდილობდნენ.
მაგრამ სიმართლემ ყველას უწია,
ცხვირწინ დაუგდო ყველას სამხილი.
დღეს ჭრიალებენ სხვანაირ ხმაზე,
ნირშეცვლილნი და გარეთ გაყრილნი!
ეს იყო წინათ, ეს იყო წინათ,
მაგრამ თუ სადმე კიდევ არიან, —
ბოლომდე უნდა მოეღოს ბოლო
სკამკაცუნებს და სკამომანიას!

**ვახტანგ ხარჩილავა**

ნახ. ვ. კუციასი




— „ადიდას?!" აი, დედას!

## „ტკბილი" გამოცდილება

**ლექტორი** (ხ ა თ რ ი ა ნ ა დ): ბოდიში!... გამარჯობათ!.

**დირექტორი:** გაგიმარჯოს! რა გნებავთ?

**ლექტორი:** ბატონო, მე ლექტორი გახლავარ...

**დირექტორი:** რომელი ლექტორი? აჰა, ჩემი ტიტიკოს მასწავლებელი? კიდევ დააშავა რამე? ბოდიში, რომელ საგანს ასწავლით?

**ლექტორი:** ვის, ბატონო?

**დირექტორი:** ჩემს ტიტიკოს... შინაურობაში ვეძახით ასე, ისე ტრისტანი ჰქვია... „ტრისტანი და იზოლდა" ხომ წაგიკითხავთ?

**ლექტორი:** თქვენ კანფეტის ქარხნის დირექტორი არ ბრძანდებით?

**დირექტორი:** უკვე ორმოცი წელია, ამ ქარხანაში ვმუშაობ. ტკბილეულის ქარხანაა, მაგრამ სიცოცხლე მაქვს გამწარებული...

**ლექტორი:** მე თამბაქოს მავნეობის შესახებ მსურდა ლექციის წაკითხვა თქვენს მუშებთან...

**დირექტორი** (ა ხ ლ ა მ ო ე გ ო ნ ე ბ ს): ოო, კი, ბატონო!.. მე თვითონ მოვითხოვე!.. ერთი კვირის წინ გადავწყვიტეთ!.. კიბოს, ათეროსკლეროზს აჩენსო...

**ლექტორი:** დიახ, სწორი ბრძანდებით. იმედია, ხალხი გაფრთხილებული გყავთ.

**დირექტორი** (ს ა ა თ ს დ ა ხ ე დ ა): ათიოდე წუთში შესვენება დაიწყება და ყველა უკლებლივ წითელ კუთხეში გამოცხადდება.

**ლექტორი:** ძალიან კარგი. ამ ლექციას, ალბათ, უკვე მეასედ ვკითხულობ.

**დირექტორი:** მით უმეტეს!.. რაღა საჭიროა, ერთი და იგივე ლექცია მეასერთედ რომ წაიკითხოთ?! ათასჯერ გადაღეჭილი, კინოში, პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში...

**ლექტორი:** არ მესმის, რას ბრძანებთ?

**დირექტორი:** მოდით, დღეს ნუღარ წაიკითხავთ ლექციას თამბაქოს მავნეობის შესახებ!

**ლექტორი:** როგორ?! მაშ, რატომ გამომიძახეთ?

**დირექტორი:** დამიგდეთ ყური! ეს კანფეტის ქარხანაა, აქ ორი ათასი მუშაა, ყველა, თითქმის ყველა, ქალია თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, თამბაქოს ეწევა...

**ლექტორი:** მერე? მით უმეტეს. ჩემი ლექცია უფრო საჭირო ყოფილა...

**დირექტორი:** ერთი კვირის წინ მეც ასე მეგონა, მაგრამ დღეს დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი: კანფეტის ქარხანაში ყველა უნდა ეწეოდეს თამბაქოს!

**ლექტორი** (ა ღ შ ფ ო თ ე ბ უ ლ ი): რატომ, ბატონო?!

**დირექტორი:** ორი ათასმა მუშამ ერთად რომ მიანებოს თავი პაპიროსის წევას, მაშინ...

**ლექტორი:** რა მაშინ?

**დირექტორი:** მაშინ კანფეტის ჭამას დაიწყებენ. აბა, წარმოიდგინეთ, ორი ათასი მუშა, აქაოდა, თამბაქოს წევას გადავეჩვევითო, წამდაუწუმ აკნატუნებს კანფეტს თქვენ იცინეთ, იცინეთ და მერე ვინ შეასრულებს გეგმას?!

**ლექტორი** (ი ც ი ნ ი ს): უცნაურია...

**დირექტორი** (ს ი ც ი ლ შ ი ა ჰ ყ ვ ა): ვარ თუ არა მართალი?!

**ლექტორი** (დგება): აბა, მაშ, კარგად იყავით...

**დირექტორი:** სად მიდიხართ? ხალხი, ალბათ, უკვე გელოდებათ...

**ლექტორი:** კი, მაგრამ...

**დირექტორი:** არავითარი „კი მაგრამ"! წამოხვალთ და წაიკითხავთ ლექციას თემაზე — „რა აჩენს შაქრის ავადმყოფობას". მე მჯერა, თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ. რაც შეეხება ლექციას თამბაქოს მავნეობის შესახებ, იგი თამბაქოს ქარხანაში წაიკითხეთ!

**გივი ჭიჭინაძე**

ნახ. ვ. კუციასი



მოხტიორის სიყვარული

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



— ჩაფხუტები რატომ არ გახურიათ?!



მიკროფეხბურთი

ნახ. ლ. ფავლენიშვილისა




უსიტყვოდ

## უწყი!

უფრო რესტორნებში ხარ, კაფეს სწყალობ ნაკლებად,
ზეცას სწვდება ყოველდღე შენი „ჰარი-ჰარალო".
თუკი ღმერთი გაწყრა და ფული შემოგაკლდება —
შენი სახლის წინაა შემნახველი სალარო.

სალაროში ფული გაქვს მამის დანატოვარი.
სხვა თუ ალალ პურსა ჭამს, შენ გალაღდი პროცენტით.
დილა, მწუხრი, შუადღე — შენი ლხინის დრო არი,
შენთვის წუთისოფელი არის ღია კონცერტი.

შენ ისეთი კაცი ხარ, ათას „საქმეს" გასწვდები
და „საქმეშიც" ხელს გიწყობს ძმაკაცების ქორალი.
სალაროში ხანდახან შეგაქვს ფულის დასტები —
ქრთამად მიღებული თუ ნაკომბინატორალი.

ოღონდ უწყი, რომ მიხვალ შემსალაროს კარამდე
(ფული მუდამ არ ფულობს, არც ჰარალი ჰარალობს):
მას უბრალოდ „ს ა ლ ა რ ო" კი არ ჰქვია, არამედ —
„სახელმწიფო
შ რ ო მ ი თ ი
შემნახველი
სალარო!"

**ნუგზარ აფხაზავა**

## ქარაგმები

- ბუნებამ ზოგ-ზოგი თავის წასაბილწად დაბადა.
- პატარა სიძულვილი დიდი ხნის სიყვარულს შლის.
- უგუნურს თავმომწონეობა გონიერება ჰგონია.
- წყაროს ამღვრევა ბოლოდანაც შეიძლება.

**შოთა ნათიძე**

# ეჰ, სანუთრო...

მას ვუძღვნი ამ ლექსს — ლახვარს,
ვისაც ლოყებს შეუჭარხლავს.

ორი ათწლეულის წინათ... ნეტავ იმ დროს!.. ნეტავ იმ დროს!
მაშინდელი სიახლოვის ექო ჩემში დღესაც მკვიდრობს.
ახლა? ახლა არც ერთ ჩვენგანს აღარ სწამხარ, არა, — ეჩო,
სიზმარშიც რომ იმას ფიქრობ, ამაღლდე და მოიხვეჭო.
მიდი! ბნელ-ბნელ საქმეთათვის ნაირ-ნაირ ძაფის ძახვას
იმისთანა ეკლის შტო ხარ, არავინაც არ გიძრახავს.
კალმით ბევრი არამზადა, არაკაცი დამილახვრავს,
არ მინახავს შენისთანა, შენი მსგავსი არ მინახავს.
გული გიძგერს შადიმანის (ამავე დროს თან რაინდობ),
აღმა სვლისთვის შენს საკუთარ დედ-მამასაც არ დაინდობ!
ეჰ, საწუთრო რამდენს ცრუობს, რამდენს სცოდავს... ღმერთო ჩემო!..
ყოფნის ღირსი ქვესკნელს მიჰყავს, არყოფნის ღირსს სტოვებს ზემოთ.
კარგად იცი, მღვრიე წყალში თევზი სხვებსაც უჭერიათ,
ჩვენში ახლა შენისთანებს ბედი აღარ უწერიათ!
სახელს მაღალს, კაი ყმისას, ოქროს მთაც რომ გედგას დიდი,
ვერ იყიდი, ათას წელს რომ იბოგინო, ვერ იყიდი.
ჯერ რა გიჭირს, კვლავ ნათლიის მიერ დადგმულ სკამზე ზიხარ,
ძირს გამხლართულს რომ გიხილავთ, მაშინ, მაშინ სად მიდიხარ?
უბედურო, წასასვლელი გზა გაქვს მხოლოდ ერთადერთი:
ვიდრე სუნთქავ, მფრინავ თაგვებს დაუმშვენო უნდა გვერდი!

ქიშვარდ ისაკაძე

# მოდი და გაუძელი

ჩემს ნათესავს ვეწვიე საღამოთი. მთელი ოჯახი ტელევიზორის საყურებლად გამზადებულიყო და მეც ძალაუნებურად მათ შევუერთდი.

გადაცემა დაიწყო.

— ეს კაცი ახლა ხომ არ გაალვიძეს! — თქვა დიქტორზე ოჯახის უფროსმა.

— რას აკვარკვალებს იმ თვალებს ეს გოგო! — თქვა ბებიამ.

— რა აცვია ამ შეჩვენებულს! — თქვა სიდედრმა.

— ამ კაცს მიახკი ზნაკი ვერ ასწავლეს! — თქვა ცოლმა.

— შეხედე ერთი რანაირად ზის! — თქვა ქმარმა.

— იმის კოსტუმის მხრებს შეხედე! — თქვა ბაბუამ.

— ეს რა ცხვირსახოცი უდევს ჯიბეში კაჭკაჭის კუდივით! — თქვა ბებიამ.

— უყურე ახლა, დაავიწყდება რაღაც! — თქვა ძმამ.

— ამას მთლად ჩაუწყდა ხმა! — თქვა დამ.

— სად იშოვა ნეტავი იმხელა ბროშკა? — თქვა ბიცოლამ.

— ისეთი ხმით ლაპარაკობს, თითქოს დაიქცა ქვეყანა! — თქვა ბიძიამ.

— ამას თითქოს არა უშავს! — თქვა სიმამრმა.

— უყურე როგორ პრანჭავს ტუჩებს, ჰი, ჰი, ჰი... — თქვა სიდედრმა.

— ხელები არ იცის სად წაიღოს... — თქვა ამან.

— ზის ასე კისერგაშეშებული... — თქვა იმან.

— ორი სიტყვა ვერ დაუმახსოვრებია... — ვთქვი მე.

უცებ შემრცხვა და ჩუმად გავიპარე იმ ოჯახიდან.

ოჰ, ეს ჩვენებური გაქიაქება! გაძლება არ გინდა?!

ტელემან ეკრანაძე

## „ნიანგის“ განცხადება

ТРАНЗИТНАЯ ТЕЛЕГРАММА

169

=ТБИЛИСИ ЧЕЛИУСКИНЕЛЕБИС 8/6

АКАБТТЕКМОМСАХУРЕОБИС

Ж САММАРТВЕЛО-

ТЕР ЮЛА 38 17 6 1610

=1 ТЕБЕРВЛПДАН 5 ТЕБЕРВЛАХЕЕ ШЕМОЕУЛПА МУШИС МИЕР

СУЛ 658 МАЕТИВЖДИ ЕУТО УУХАЛАШВИЛИ-

„ნიანგი“ აცხადებს კონკურსს რედაქციაში შემოსული ქვემოდაბეჭდილი დეპეშის ტექსტის ამოცნობაზე (კავშირგაბმულობის მუშაკებს სასტიკად ეკრძალებათ კონკურსში მონაწილეობის მიღება!). ტექსტის ზუსტად ამომცნობი დაჯილდოვდება „ნიანგის“ სპეციალური პრიზით, რომელზედაც ოქროს ასოებით იქნება წარწერილი „კაციც შენ ყოფილხარ!“

## ბარათები მოკითხვამდე

ქალაქში
თუ
სოფელშიც,
რომ
არ წყალობს
პოტენცია,
უთავბოლო
კოტე ძიას

მიტომ უყვარს
პროტექციაც!

* * *

მაქსიმალური,
მინიმალური
დახლის ქვეშა გაქვს
გადამალული!

ილია აროსია

იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნა ლამაზ და ხარისხოვან ტანსაცმელზე, სახელმწიფო არ ერიდება ხარჯებს, ზრდის ბამბის, შალის, სინთეზური ბოჭკოს წარმოებას. მაგრამ საბოლოო შედეგი ბევრად უფასურდება.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალებიდან**

ნახ. მ. აბაშიძისა



— ტოტს და სახელოს ზედმეტი მოაჭერი და ნამდვილად შენზეა ზედ გამოჭრილი!

# ნიანგის ფესტი

## მათი მორალი

### რა ღირს დოქტორობა?

ავსტრიაში ვისაც სწავლულობის მანია არ ასვენებს, მათ ამ დღეებში ვენის გაზეთმა „კრონენ ცაიტუნგმა“ მთლად დაუკარგა სიმშვიდე და მოსვენება. გაზეთი იუწყებოდა, რომ ბედის იმ რჩეულთ, რომელნიც „უბრალოდ“ კარგად ცხოვრობენ, ხელისგულზე დადებული სამეცნიერო ხარისხიც მიართვეს. ეს იღბლიანი ხალხი მთელი რიგი ავსტრიული ფირმის დირექტორები ბრძანდებიან. ნურას უკაცრავად,— ყალბი დიპლომები არავის ეგონოს! ამ სანატრელ საბუთებს თვით ილინოისის შტატის (აშშ) სპრინგფილდის კოლეჯი გასცემს, დასტურითა და ხელის მოწერით.

სწავლულის ხარისხის მძებნელთ მხოლოდ ისღა დარჩენიათ, — აირჩიონ რომელ დარგში სურთ დოქტორობა და კიდევ ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი, — გადაურიცხონ კოლეჯს „სულ რაღაც“ 40.000 შილინგი (!).

ვინემ ამ ამბავს შეიძლება სკეპტიკურად შეხედოს, მაგრამ ურწმუნო თომებისათვის გაზეთი „კრონენ ცაიტუნგი“ იქვე დასძენს, რომ „სპრინგფილდის კოლეჯი მეტად სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის“.

მაშ ასე, ორმოცი ათასი შილინგი და დოქტორობა მზად არის!

### მთავარია რეკლამა და მოგება!

პარიზში, მონმარტრზე, რომანტიკითა და ეგზოტიკით აღსავსე ერთ-ერთ ქუჩაზე არის კაფე, რომელსაც მუშტარი და მიმსვლელ-მომსვლელი არასოდეს აკლია. კაფეს აზრას კი ამშვენებს უაღრესად ჰუმანური სახელწოდება: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

ქუჩის ზუსტად მოპირდაპირე მხარეს ასეთივე ხალხმრავალი და არანაკლებ პოპულარული კაფეა წამოჭიმული: „სამი დიდი სისულელე“.

კაფეს მეპატრონეებს შესანიშნავად მოეხსენებათ, რომ ურთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. დანარჩენი კი შემოსავალსა და ბიზნესს ეწირება.

### „ჭეშმარიტების“ მაძიებელი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ დარმშტადტის სასამართლომ დამნაშავედ სცნო ადვოკატი მანფრედ რედერი. მართლმსაჯულების ამ ბეჯით მსახურს ბრალად დაედო რასობრივი შუღლის გაღვივება. გფრ-ის თემიდამ იგი „მკაცრად“ დასაჯა — მიუსაჯა 7... თვე... პირობითად!

მიუნხენის გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ წერს, რომ მ. რედერი სამართალში მისცეს იმ წინასიტყვაობისათვის, რომელიც მან დაურთო ბროშურას „სიცრუე აუშვიცეს შესახებ“ (ასე ეძახდნენ ჰიტლერულ გერმანიაში ოსვენციმის კონცენტრაციულ ბანაკს, მათი მიმდევარნიც „სირცხვილითა“ და „მორიდებით“ ასევე უწოდებენ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი დანაშაულის ადგილს. აბა, ნამდვილ სახელს ხომ არ დაარქმევენ?! ბოლოს და ბოლოს, უხერხულია!..) ბროშურა გამოიცა 2-ათასიანი ტირაჟით. წინასიტყვაობაში რედერი ამტკიცებდა, რომ ნაცისტ ბოროტმოქმედთა ყველა პროცესზე გამოსული მოწმეები ყალბ ჩვენებას იძლეოდნენ, როდესაც ჰყვებოდნენ იმ საშინელებათა შესახებ, რაც ჩაიდინეს ფაშისტებმა ოსვენციმში.

ქ. დარმშტადტის სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რედერის მიერ შეთხზული წინასიტყვაობა აშკარად ატარებს, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, ანტისემიტურ ხასიათს. მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესის დროს, ნეონაცისტ-ადვოკატის თანამზრახველებმა, სასამართლოს შენობის წინ მოაწყვეს საკმაოდ აურზაურიანი დემონსტრაცია ამ „ჭეშმარიტებისათვის მებრძოლის“ მხარდასაჭერად.

---

კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან წერილი მივიღეთ. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა მეურნეობაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის ფაქტებს. რედაქციამ წერილი საქ. კპ კასპის რაიკომს გადაუგზავნა, საიდანაც პასუხმა არ დააყოვნა: „...მეურნეობის ხელმძღვანელობა იჩენდა რა უკონტროლობას 1974 წელს ყურძნის მოსავლის ღვინის ქარხანაში ჩაბარების დროს მიტანილი იქნა 17 ტონით მეტი ყურძენი, ვიდრე ეს ნაკვეთებზე გამოწერილ ზედნადებში იყო აღნიშნული... სინამდვილეს შეეფერება ის, რომ სრული უყაირათობის შედეგად მეურნეობის ხელმძღვანელობამ 1973 წელს ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე კრასნოდარის მხარეში შეიძინა მუხის ბოძები, რომელშიც ხელშეკრულების თანახმად უნდა გადაეხადა 2 მანეთი და 10 კაპიკი თითოეულში. საქმეში სახბანკის კასპის განყოფილების და სახალხო სასამართლოს ჩარევის შემდეგ თითოეულ ბოძში გადახდილი იქნა მხოლოდ 57 კაპიკი სატრანსპორტო ხარჯების ჩათვლით... სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გასაგზავნი ლიმიტი და სტიპენდიის მეურნეობის ხარჯზე ანაზღაურების გარანტია მისცა ნ. ჩარექიშვილს, რომელიც მეურნეობაში სულ 18 დღის მიღებული იყო და 11 კაცდღე ჰქონდა გამომუშავებული.

...რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. თვალავაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აღნიშნული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

რაიკომის ბიურომ საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს შ. კურდღელაშვილს მეურნეობაში გამოვლინებული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის, აგრეთვე დირექტორის გვერდის ავლით 1500 კგ ხახვის რეალიზაციაში გაშვების ნებართვის გაცემისათვის გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით“.

—:—:—

თბილისიდან გვატყობინებდნენ: ოქტომბრის რაიონში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი კერძო დუქანი. დუქანში კი ვითომ „ყარაჩოხელი“ ა. მუსელიანი დაგხვდებათ. იგი ფეხსაცმლის გაწევაში 6 მანეთს თხოულობს. თუ გაგიკვირდათ, ან ქვითარი მოსთხოვეთ, უცენზურო სიტყვებით შეგამკობთ და გასარტყმელადაც გამოიწევა. რას იზამთ, ალბათ, გაწევას მიჩვეულია. რედაქციამ წერილი ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა...

„...გამოირკვა, რომ ა. მუსელიანი ხასიათდება თავშეუკავებლობით, ხშირად მომხმარებლებს ეპყრობა უტაქტოდ, მიმართავს უცენზურო სიტყვებით და სხვა.

მოქ. მუსელიანი გაფრთხილებული იქნა, მომხმარებლებს გაუწიოს კულტურული მომსახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აეკრძალება შინაოწევა“.

უნებლიეთ გვახსენდება: „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რატომ რგავთ ასე მეჩხერად?
— გვშინია, გველი არ გაჩნდეს!!

290
26.IV 76

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაჩაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.
⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ⊙ გადაეცა ასაწყობად 25/III-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IV-76 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,6 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1174 .უე 00737. ტირ. 138.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ადეიშვილი, ხ. ელიავა, ვ. კუცია, გ. ლომიძე, ბ. სიხარულიძე, ლ. ფაღლენიშვილი, ვ. ფირცხალავა, ნ. ქოჩიაშვილი.

ნახ. გ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნატოში გაჩნდა ბზარი: მისმა მონაწილე ორმა ქვეყანამ ინგლისმა და ისლანდიამ გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ამ ორ ქვეყანას შორის ოთხჯერ წარმოიშვა მწვავე კონფლიქტი, რომელიც გამოიწვია ისლანდიის სანაპირო წყლებში ინგლისის სამხედრო ხომალდებისა და ტრალერების შეჭრამ თევზჭერის მიზნით. ისლანდიისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს,—მისი ექსპორტის 80 % თევზის პროდუქციაა. ისლანდიაში იზრდება ფართო მოძრაობა ქვეყნის საარსებოდ მნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერესების დასაცავად, ამავე დროს ნატოს კავშირიდან გამოსვლისა და მის ტერიტორიაზე არსებული ამერიკის სამხედრო ბაზის ლიკვიდაციისათვის. „ისლანდიასთან ბრძოლა“, — შეშფოთებით წერს ლონდონის „დეილი ტელეგრაფი“, — „დაშლის საფრთხეს უქმნის ნატოს“.

„ვირთევზას ომი“